საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/206

23 აგვისტო, 2022 წ. ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 5 აგვისტოს N01-02/197 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N06-01/55 დადგენილების, „2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისს N 06-01/57 დადგენილების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 23 აგვისტოს N936283 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 5 აგვისტოს N01-02/197 ბრძანებაში** შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული; **შენიშვნა:** დასაშვებია დოქტორანტობის კანდიდატის დოკუმენტაციის მიღება იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატს ცნობის მიღების მიზნით მიმართული აქვს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ან ბსუ-ს კურსდამთავრებულია. ასეთ შემთხვევებში ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ბსუ-ში ჩარიცხვის აქტის გამოცემამდე).";

ბ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შეიქმნას დოქტორანტურაში მიმღები კომისია წინამდებარე ბრძანების **№4 დანართის** შესაბამისად (სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N20) **და დაევალოს:**

ა) მიიღოს და დაამუშავოს დოქტორანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია - 2022 წლის 22-23 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში;

ბ) უზრუნველყოს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმება - 2022 წლის 14-15 სექტემბერს, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ამ პირთა მიერ წარმოდგენილი, **დოკუმენტაციისა და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 1000 ლარის) გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე.“;**

გ) ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს **2022 წლის 16 სექტემბერს,** შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.“.

2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე ასახვა და ასევე დარეგისტრირებული აპლიკანტების ინფორმირება (განაცხადებში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**